ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №62
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

გორი 05 აგვისტო 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის წესის მე–3 მუხლის 2 პუნქტის (თ) ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (შემდგომში "შემსყიდველი"), სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი", (ს/კ: 202177205) (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის, გორის ფილიალის გაყიდვების ჯგუფის უფროსის ვლადიმერ ტატიშვილი (მინდობილობა N1028, გაცემული: 20.07.2015წ. პ.ნ. 59001036593) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია, "მიმწოდებელმა" უზრუნველყოს "შემსყიდველის" ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისათვის (TOYOTA LC 200 სახ. ნომრით:BKB-848) აკუმულატორი ვარტა ბლუ 95 ა/ს G-8, წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების მიწოდება თანმდევი მომსახურებით (CPV501), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია:
ავტომანქანისთვის - TOYOTA LC 200 სახ. ნომრით BKB-848 აკუმულატორის მიწოდება მომსახურება.
აკუმულატორი ვარტა ბლუ 95 ა/ს G-8 2 ცალი, თითოეულის ღირებულება 342,00 (სამასორმოცდაორი),სულ ღირებულება 684.00 (ექვსას ოთხმოცდაოთხი) ლარი. აკუმულიატორის ღირებულება მოიცავს მისი შეცვლის ღირებულებას
სამუხრუჭე ხუბდი წინა 1 ცალი, ღირებულება 280.00 (ორასოთხმოცი) ლარი.
სამუხრუჭე ხუნდი უკანა 1 ცალი, ღირებულება 180.00 (ასოთხმოცი) ლარი.
ავტოტექმომსახურება 60.00 (სამოცი) ლარი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის და მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2. შესყიდვის და მომსახურების ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1204.00 (ათას ორას ოთხი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის საქონლის მიწოდება და მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და მომსახურების პარალელურად, "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისთვის", კერძოდ, სასაქონლო ზედნადების წარდგენა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის/მომსახურების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის/მომსახურების ობიექტის ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება სტანდარტული გადახდით.

7.4. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა/მომსახურებისა და წინდამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის/მომსახურების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის/მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. “შემსყიდველი” უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და “შემსყიდველის” მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება–ჩაბაების აქტის განხორციელებას “შემსყიდველის” მხრიდან განახორციელებს მამუკა მამუკაშვილი – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსი სპეციალისტი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ “შემსყიდველი” დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს “მიმწოდებელს”, წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება “მიმწოდებელს” საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”
გორის, კასპის, ქარელისა, ხაშურის
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის
მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის –
გუბერნატორის ადმინისტრაცია
ქ. გორი, სტალინის გამზ. 16
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
ანგ: #GE24NB0330100200165022, კოდი: #TRESGE22
საიდენტიფ. კოდი 217889514
სახელმწიფო რწმუნებული- გუბერნატორი

_______________ ზ. [illegible]

„მიმწოდებელი”
შპს „თეგეტა მოტორსი”
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი
მე-12 კმ. №5
ს/ს “თიბისი ბანკი”
ა/ა GE80TB0600000024467853
ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფ. კოდი: 202177205
მინდობილი პირი
გორის ფილიალის გაყიდვების ჯგუფის
უფროსი

_______________ ვ. ტატიშვილი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი 5 აგვისტო 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულება #62 შ.პ.ს ,,თეგეტა მოტორსი"–თან ,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

_____ *ზ. რუსიშვილი*

მიღება– ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი:

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

_____ *გ.იაკობაშვილი*